



ნ.ბ. პაპია მიხეილისაძის



ფრინავს პირობანი სავლა უზროველი შვეოსავლით, მაგრამ სავლა იტყვის მალე: „ჰაი, ჩემი ცოდვის გრალი!“



1959 წლის ერთ წყნარ საღამოს ყვარელში, გორკის ქუჩის №41 სახლში მცხოვრები ვახტანგ პარასტაშვილის ოჯახიდან გასროლილმა თოფის სხამ ყვარელელებს ამნო ვახტანგის ვაჟის — გიორგის დაბადება!.. კეთილმა მეზობლებმა ახალშობილს კარგი მომავალი უსურვეს, და, აი, მისი დაბადებიდან გავიდა 26 წელი!.. 1985 წლის 16 მარტს **გიორგი პარასტაშვილმა** გაიგო, რომ მათ მეზობელთან თბილისიდან სიძე ჩამოსულა ავტომანქანა „ჟიგულით“ სიღელდრის დაბადების დღისადმი მიძღვნილ პურ-მარილიში (!) მონაწილეობის მისაღებად. უზოში მდგარი „ჟიგულიდან“ გიორგიმ სწრაფად „აითვისა“ მაგნიტოფონი და ორი ცალი საბურავი.

ყვარლის რაიონის მილიციის მუშაკებმა ვერ „გაითვალისწინეს“, რომ გიორგიმ აღნიშნული ნივთები საჭიროებისათვის მოიპარა, და იგი დააკავეს, ხოლო ყვარლის სახალხო სასამართლომ **გიორგი პარასტაშვილი** სამი წლით „დაასვენა“.

ყვარელში ცხოვრობს ვინმე **ზილფა ლეჟანის ასული ჩახნაშვილი**, რომელიც ყვარელთა „საკეთილდღეოდ“ არ ზოგავს ენერჯიას, სხვადასხვა მაქინაციებით შოულობს დეფიციტურ სამრეწველო საქონელს და მამასისხლად ყიდის.

ერთ დღეს ყვარლის №46 საგზაო-საექსპლუატაციო უბნის მუშაკებმა — **ალია ბიორგის ქა დოღმაშაშვილმა** და მცირეწლოვანმა **ალიაქსანდრა გურამის ქა ჯაფოშვილმა** (იგი აღრეც იყო ნასამართლევი მაგნიტოფონის ქურდობისათვის), გადაწყვიტეს, რომ **ზილფა ჩახნაშვილისათვის** მოეპარათ სასპეკულიაციოდ ჩამოტანილი საქონელი. იფიქრეს, „ქურდის ქურდი ცნობეულიაო“, და შეისრულეს კიდევ საწადელი, მაგრამ... სახალხო სასამართლომ „არ გაითვალისწინა“ ქართული ანდაზის არსი და **ბ. დოღმაშაშვილს** შვიდი, ხოლო **ბ. ჯაფოშვილს** 6 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

გურჯაანში არის ღვინისმწავა ნედლეულის ქარხანა, რომელსაც ჰყავს ღირებულონი, მეღვინეები, სხვა მომსახურე პერსონალი და დარაჯები კი. მაგრამ ღირებულებამ და კადრების განყოფილებამ ვერ „გაითვალისწინეს“ დარაჯებისათვის დამატებით დაეშვათ საშტატო ერთეული.

ამიტომ იყო, რომ ქარხნის დარაჯმა **გიორგი ილიას ქა ბაჭაშვილმა** დაიტაცა 210 ლიტრი სპირტი, რომლის ღირებულებაც 5145 მანეთს შეადგენს.

გურჯაანის რაიმილიციის მუშაკებმა საშუალება არ მისცეს გ. ბაჭაშვილს გაეყიდა აღნიშნული სპირტი. ნაქურდალი დაუბრუნეს ღვინის ქარხანას, დამნაშავე კი საკადრისად დაისაჯა.

ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენში მცხოვრებმა „მონადირეებმა“ **თეიმო ოთარის ქა ჩიტაშვილმა** და არასრულწლოვანმა **ნუგზარ სიკოს ქა ვაჟაშვილმა** გადაწყვიტეს, სანადიროდ წასულიყვნენ და „დაელაშქრათ“ ახმეტის რაიონის ველმინდვრები. ბევრი იარეს თუ ცოტა, გაიარეს ახმეტის რაიონის რამდენიმე სოფელი და მალრანის მისაღვომებთან დალანდეს... ორი გოჭი. „მონადირეებს“ გოჭები გარეული ეგონათ და კარაბინით დახოცეს. თ. ჩიტაშვილმა და ნ. ვაჟაშვილმა ნადავლი სახლში წაიღეს, მაგრამ ახმეტის რაიმილიციის მუშაკებმა „მონადირეები“ ცხელ კვალზე დააკავეს.

ორჯერ ნასამართლევი **თ. ჩიტაშვილსა** და არასრულწლოვან **ნ. ვაჟაშვილს** საკადრისად მიეზღოთ — პირველს სასჯელის სამი წლითა და ექვსი თვით მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო მეორეს — პირობითი სასჯელი ორი წლის ვადით.

თ. დავითაშვილი

მწყემსების წერილი

დავალთ, დავეძებთ ნაბადსა, კარგს ვერსად მაჰკაროთ თვალთა: გვათბობდეს, ქარს არ უშვებდეს, არ გასდიოდეს წყალია, დროც არ გვაქვს ქალაქს სავალად, ცხვარს ვმწყემსავთ, სადა გვცალია?! ჩვენთან თუ მოხვალ, ნიანგო, და წვიამ წამოგისწროსა, ლეკურ ნაბდებს რომ თელავდნენ, — ნაღდად ინატრებ იმ დროსა! სმა მოვაწვდინო იქნება ვაჭრობის სამინისტროსა: გვაძლევენ ისეთ ნაბდებსა, თავს ვმალავთ ღვია-დეკაში, არა აქვს სისქე-სიგანე, ბაღლებს თუ არგებთ ცეკვაში, თუ არა სჯურათ, მოასხან მავარ წვიმაში „ცეკავშირს“!.. თუ „ცეკავშირი“ დასველდეს, ჩვენ ნუ დაგვიწყებს გმობსა, გადაულოცოს ნაბადი მან მსუბუქ მრეწველობასა!..

ჩაიწერა **შოთა არაბულმა**



ნ.ბ. მ. პაპაშვილის

ჩვენში ჯერ კიდევ არიან მუშაკები, რომლებიც ხელფასს, ზოგჯერ კი პრემიებსაც იღებენ არა იმდენად რეალური საქმისათვის, რამდენად სამუშაო ადგილას ყოფნისათვის.

— მთელი დღე ასე ტყუილად როგორ ზიხარ სამსახურში?
— ტყუილად რატომ?! ხელფასს და პრემიებს ხომ ვიღებ?

გვხვითი რაიონის დაბა ზაპესში, ტრესტ „საქვიდროენერ-გომშენის“ №4 ავტოსატრანსპორტო საწარმოს გარაჟში, მიწაზე გაშლილ ჭილოფზე, აღმოსავლურ ყაიდაზე ფენმორთხმით იჯდა ოთხი მამაკაცი: დაბა ზაპესში, ულიანოვის ქუჩის №1-ში მცხოვრები, უმუშევარი სულხან გოგინაიშვილი, თბილისის №1 კომკურა ამწეების სამმართველოს მე-4 მექანიზებული უბნის მუშა, დაბა ზაპესში, ულიანოვის ქუჩის №2-ში მცხოვრები ივანე დიდუბულიძე, თბილისის №3 ტრესტის საერთო საცხოვრებლის დურგალი, დაბა ზაპესში, ულიანოვის ქუჩის №1-ში მცხოვრები რევაზ ყორღანაშვილი და ავტოკოლონა №2661-ს მძღოლი, დაბა ზაპესში, ულიანოვის ქ. №4-ში მცხოვრები ჯემალ დიდუბულიძე.


სულხან გოგინაიშვილს მღელვარებისაგან ნიკაპი უცნაცხებდა, მაგრამ არ იმჩნევდა, მან ხელში ჩაბღუჯული კარტის დასტიდან ერთ-ერთი დააძრო და გამეტებით დააბერტყა ჭილოფზე.

— ვალეტი! ბანკი მოხსნილია! — გამოსცრა კბილებში სულხან გოგინაიშვილმა და დახვავებული ფულის გროვა თავისაკენ ხარბად მიისვეტა.

— უბ, შენი! მთელი ბანკი არ მოხსნა?! — გაცოფებული წამოხტა ივანე დიდუბულიძე, ხელში შემორჩენილი კარტები გადაყარა და ზედ ფეხით შედგა.

— აბა, აბა, ყმაწვილო, თავი შეიკავე, თორემ, ხომ იცი, რაც გელის?! აქ ჩვენ პატიოსნად ვპარტნიორობთ!..

— პატიოსნად, პა?! — იქედნურად იცინის რევაზ ყორღანაშვილი, — კოსთან ხომ არ გაგივლია პრაქტიკა, კარტს შენს ნებაზე ატრიალებ... ვალეტს, როცა გინდა, მაშინ გააჩენ! მე შენი!..



ვალეტონი

— შენ რა, თავი ხომ არ მოგებურებია?! — დაუბღვირა სულხან გოგინაიშვილმა რევაზ ყორღანაშვილს და ისიც ზეზე წამოხტა.

— გეყოფათ, თავი შეიკავეთ! თამაში გრძელდება! აბა, კარტი ხელახლა ჩამოარიგე, საეჭვო გზით მოგებულ მასუთს აქედან ვერ წილებ!.. რევაზ, დაწყნარდი, ხომ გაგიგონია, მოწინააღმდეგე ტურას ერთხელ მინდორზეც გაუთენდებო?! აბა, ახალი ბანკია, დაარიგე! — გააშველა წამოქოჩრილი ბიჭები ჯემალ დიდუბულიძემ და სათამაშოდ ისევ ჭილოფზე მოიკალათა.

სულხან გოგინაიშვილმა ირონიული ღიმილით აჭრა კარტი, ჩამოარიგა და განაწყენებულ ივანე დიდუბულიძეს ჩაულაპარაკა:

— რა ვითხრა, იცი?! ალბათ გაგიგონია ანდაზა, მოწადინება ნახევარი საქმეაო! ჰოდა, ჯიგარო, შენც მოიწადინე და მოიგებ კიდევ! მორიგი ბანკის მოხსნას დამთავრება არ ეწერა. აზარტულ თამაშში ჩაფლულთ მილიციის მუშაკებმა შეუშალეს ხელი.

— „დურაკობანას“ ვთამაშობდით, — სცადა თავის დაძვრენა სულხან გოგინაიშვილმა, მაგრამ თქვენ გგონიათ, დაუჯერებს? არა!

სასამართლოს განაჩენით „დურაკობანას“ მოყვარულნი — სულხან გოგინაიშვილი, ივანე დიდუბულიძე, რევაზ ყორღანაშვილი და ჯემალ დიდუბულიძე ღირსეულად დაისაჯნენ, განაჩენით მათვე ჩამოერთვათ „დურაკობანას“ თამაშში დაგროვილი 843 მანეთი.

ზაალ მესხინი,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.



ნახ. ზ. ფორჩხინიძის

— რატომ არ დგამთ ამ იმპორტულ მოწყობილობებს?!

— რას ამბობთ, პატივცემულო?! ფრინველებს ბუდეებს ხომ არ დავუნგრევთ?!

ორპირი

სხარტულები

დავითთან მიშას აგინებს, ავთოსთან კიდევ — დავითსა. ისე, ერთხელ ახეც მოხდეს უფროსთან ყველა გაწირა ენითა შხამიანითა!..


● ერთხელ ასე, ერთხელ ახეც, ერთხელ ახეც მოხდეს უფროსთან ყველა გაწირა ენითა შხამიანითა!..

ზურგსუკან უთხრის სამარეს, პირში უცინის ყველასა!.. ვისაც ლანძღავს და აგინებს, იღებ შენ, ბენო? — ჯიბი-იმისგან ითხოვს შეველასა!.. დან თვითონ იღებენ და ჩემს ჯიბეში დებენო.

● მამრთამე ბენოს ჰკითხავდნენ, ფულს როგორ იღებ შენ, ბენო? — ჯიბი-იმისგან ითხოვს შეველასა!.. დან თვითონ იღებენ და ჩემს ჯიბეში დებენო.


ავთანდილ მავრალიაშვილი

გიორგი დანელია



ნახ. ბ. პატრიკაშვილის

— შენც ისე ანგარიშობ, თითქოს ზეპირად არ იცოდე, რამდენი უნდა გადაიხადო!



მაინც გცნობ!..

ვინ მოთვლის, რამდენი სიკეთე გითესხავს!

მეც ძალიან გიმაძლი პირადად. როგორც ყველამ, მეც შენი იმედით დავიწყე ღვინის სმა. ყოველ ნაბახუსევს ძმურად შედექი გვერდში, მამხნევებდი და მდგომარეობიდან გამოგყავდი. შენ რომ არა, ვინ იცის, რამდენი ნაადრევად მიატოვებდა ღვინის სმას!

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ვერ იჩენ ისეთ აქტიურობას, როგორსაც წინათ. ზოგჯერ რომ ნახერხში ამოსვრილსა და დახლის ქვეშ ლოთივით ვაგორებულს ვხედავ, გული მიკვდება!..


ძლიერ შეწუხებული ვართ, ყანგბადის ნაკლებობას რომ ვანიცდი, აზოტისა და იოდის ჭარბი დაგროვება რომ გაქვს!..

ზაფხულობით სმირად დაგნებდა გაუჩინარება, თუმცა ვიცით, ამ დროს ახალ საუცხოო სამოსში გახვეულა და იშვიათად თავმორთული ბევრს მოგზაურობ, საყვარელო და სანატრელო, ჩვენო ძველო და ერთგულო მეგობარო „ბორჯომო“!

ბადრი ტონია




— სად გარბინარ, ძმაკაცო?! ერთი ჭიქა მაინც გამისინჯე!..



ღელის პირას, გზის მახლობლად, მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს! — „ხელის ჭუჭყის“ მოსაგებად გაუმართავს ფაცხა გოჩას!.. დრო და ჟამის შესაფერად მოუწყვიათ, მართლაც, ფაცხა: ხორცის ერთი ნაჭრის ფასად შეისყიდით მეწველ თხასა!.. „აქ ფაცხაა, გენაცვალე, თუმანი ღირს ნორმა ლომი!“ გოჩას სიტყვას ვინ შეჰბედავს, იბღვირება, როგორც ლომი!.. გზის პირას და კაკლის ძირას რომ გაშლილი ფაცხეებია, — მგზავრის ჭამას ვინ დაეძებს, — დაგებული ფაცხეებია!..

ოთარ ნაჭყვიანი



ფაჩაფაჩი

- პატივის არ ცემენ იმიტომ, რომ სკლეროზი აქვს და დაავიწყდებაო.
- ზარმაცნი კაცნი ჩრდილსაც კი სხვის ყანაში ეძებს.
- შურიან კაცს ბრმა შემთხვევამ ქონება შესძინა და საკუთარი თავისაც კი შესურდა.
- მიცვალებულზე თქვენს: სიცოცხლეშიც ასე გულხელდაკრეფილი იყო.
- წიგნებს ბეჭდავს „ჩაწყობებით“, გამოტენა საწყობები.

ავთანდილ გურული

ვაი, ვაი, ვაი, ვაი!

გაუმარჯოს კასიანეს, —
თეთრ „ვოლგას“ რომ ასრიალებს!
ასრიალებს, ასრიალებს,
მერე ითვლის ასიანებს!..

მიაქროლებს, მოაქროლებს
ფულიანებს, შანსიანებს!..
რა ვუყოთ, რომ ზოგჯერ მგზავრებს
ამტვრევ-ამსხვრევ-აზიანებს?!

თუ დასჭირდა შემთხვევისთვის,
თავსაც მოიაზრებინებს!..
ღმერთმა ხელი მოუშაროს
ჭკვიანებს და საზრიანებს!

გაუმარჯოს კასიანეს, —
წინ რომ უსწრებს ნავსიანებს!..
აქეთ საჭეს ატრიალებს,
იქით სარკეს ჩაცქრიალებს,

ჩაცქრიალებს, ჩაცქრიალებს,
შიგ თვალს უკრავს შავთმიანებს!..
თანაც ფიქრობს: „ვაი, მის დღეს,
ვინც მომაკლებს ამ სიამეს!“



ო, ეს ფიქრი რად დასწემდა
ასჯერ ცინენაზიარებს?!
ინსპექტორებს რომ დალანდავს,
ტანში აცივ-აყრიალებს!..

სალამოყაშს „სალსინოში“
სცლის ხან ყანწებს, ხან — ფიალებს!..
ნაბახუსევ-ნამთვრალევი
ისევ ეძებს სარფიანებს!..

ჰოდა, მგზავრებს ასიანებს
რა დაუღვეს კასიანეს?!
დატვირთული იმ მგზავრებით
ქალაქგარეთ დასრიალებს!..

მაგრამ, ვაი, კასიანეს, —
ისევ ცინეს აზიარეს!..
აქ შემთხვევით გადარჩენილ
მგზავრებს აცივ-აყრიალებს!..

ეთერ სამხარაქი



„ნოანუი“ მხვანქარიანებს



13 მთვრალი მძღოლი — სახესთან

სიმთვრალე რომ ნებაყოფლობითი სიგიჟეა, ეს არავისთვის სადავო არ არის, მაგრამ თუ ნებაყოფლობით გაგიჟებული საჭეს ჩაბლაუჭებია, თვალები გადმოუტრიალებია და ათობით ცხენისძალიანი ავტომობილის ყალბზე შეყენება განუზრახავს, საით გინდა გაიქცე; როცა ქუჩის გაბარიტი არ იძლიერა ამის საშუალობას. და რომც იძლიერდეს, სანამდე გინდა, ირბინო?!

ეს მოჭირითე სიკვდილია, რომელსაც ვერსად გაექცევი!

აი ისინი, ეშმაკის მერიდიანზე რომ გაიარეს:

1. ნოდარ ვარლამის ძე კლდიაშვილი — ადიგენის რაიონის სოფელ ვარხანის საშუალო სკოლის მასწავლებელი;
2. ვახტანგ გიორგის ძე ლალიაშვილი — თბილისის მცხოვრები (თეთნულდის ქ. № 48), დროებით უმუშევარი.
3. შოთა გივას ძე ჯავახიშვილი — გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის საშუალო სკოლის მასწავლებელი;
4. რობიზონ არჩილის ძე ბუნტური — მცხოვრები ქ. კასპში (ქარელის ქ. № 18), თბილისის ქალაქგაყრბის სარემონტო სამმართველოს მხატვარი;
5. თამაზ ქრისტეფორეს ძე ვაჭარაძე — ზესტაფონის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი;
6. გოდერძი გიორგის ძე ხუციშვილი — გორის რაიონის სოფელ შინდისის რკინა-ბეტონის ქარხნის საქმეთა მწარმოებელი;
7. სალმან სულეიმანის ძე ალექვეროვი — რუსთავის სასწრაფო დახმარების სადგურის მძღოლი;
8. ზურაბ დავითის ძე დგებუაძე — ქუთაისის № 3 სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი;
9. შუქრი ილარიონის ძე ლალიძე — მცხოვრები ქ. ქუთაისში, წყალტუბოს ზონის სოფ. ქვიტირის მომხმარებელთა საზოგადოების მებუფატი;
10. ზორიკ დარჩოს ძე ხაჩატუროვი — ბოლნისის რაიონის სოფელ ქვეშეთის საბჭოთა მეურნეობის უფროსი ბრიგადირი;
11. ზაქარ ჯალილის ძე ალიევი — დმანისის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების ტელეატელიეს თანამშრომელი;
12. ელგუჯა შალვას ძე გრიგალაშვილი — ხაშურის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის სამუშაოთა მწარმოებელი;
13. ბორის პლატონის ძე მეფარიშვილი — ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატის საწარმოო განყოფილების უფროსი.

ვინც დაიმსახურა, მაგრამ ვერ მოხვდა ღუემორეულთა ამ სიამი, გული ნუ დაწყდება, იმედი იქონიოს — ეშმაკისეული ღუეინი კვლავაც გამოქვეყნდება!

შანი სიხარულიძე

კომპოზიციური ანტიკონტრასტის ფორმების აუქსიური

საზრანგეთიდან მუსიკოსების ჯგუფი ეწვია საქართველოს. ქართველმა კომპოზიტორებმა სტუმრებს ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილი დაათვალიერებინეს, ხოლო შემდეგ დიდი ბანკეტი გაუმართეს. რა თქმა უნდა, კომპოზიტორთა შორის ტუსაც იყო.

ტუსას წინ ერთი ქართველი კომპოზიტორი შესანიშნავად ესაუბრებოდა ფრანგებს ფრანგულად. ტუსამ უსმინა, უსმინა და ნასიამოვნებმა თავის მეზობელ კოლეგას გადაულაპარაკა:

— ეტყობა, ამან მუსიკის გარდა, ყველაფერი იცის!

1954 წელს თბილისს ესტუმრა კომპოზიტორი კონსტანტინე დანკევიჩი.

მთელი საბჭოთა ხალხი ზეიმობდა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. თბილისის საოპერო თეატრმა დადგა დანკევიჩის ოპერა „ბოგდან სმელნიცკი“. სპექტაკლის შემდეგ ტუსას ჰკითხეს, ოპერის მუსიკა როგორ მოგეწონათ?

— სამას წელიწადში ერთხელ შეიძლება მოსმენა! — უპასუხა ტუსამ. ამ პასუხმა დიდი მსიარულება გამოიწვია, თვით დანკევიჩი ყველაზე მეტს იცინოდა.

არჩილს და რეზო ლალიძეს უყვართ ერთმანეთის გამოჯაგრება. თბილისის

1500 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე ისინი ერთად ისხდნენ „ქარიშხალს“ სტადიონზე და სპორტულ ზეიმს უცქეროდნენ.

მოულოდნელად „სიმღერა თბილისზე“ ნოტები გადმოყარეს ვერტმფრენიდან.

— ხედავ, კერეს, ჩემს ნოტებს საიდან ყრიან?! — თავი მოიწონა რეზომ, იფიქრა, ამჯერად მაინც ვაჯობებ ტუსას (ასე ვეძახდი თინაურები) სიტყვაშიო.

— შენსას ყრიან, ჩემსას კი უკრავენ! — პასუხი არ დააყოვნა ტუსამ.

ზაპარმა ფალიაშვილის იუბილეზე ქუთაისში ჩასული ტუსა და რეზო სასტუმროს ერთ ნომერში მოკალათდნენ. დილით ტუსამ რეზო გააღვიძა.

— ახლა შენ ადექი და მე დავიძინებ, რადგან ღამე შენი ხვრინვის გამოს მთელი სასტუმრო ჩვენს კარს მოაწყდა და ხალხისათვის ახსნა-განმარტებების მიცემას მოუვნი!

რეზომ ეს ჩვეულებრივ ხუმრობად მიიჩნია.

როცა მანქანით გამოემართნენ თბილისისაკენ, რეზო უკან მოკალათდა, თავი საზურგეს მიაღო თუ არა, მიიძინა.

— ბატონო ტუსა, გზაში რომ არ ჩამეძინოს, მესაუბრეთ! — სთხოვა ტუსას მძღოლმა.

— ცოტა დაიცადე, რეზო რომ ხვრინვას დაიწყებს, შენ კი არა, მეზობელი სოფლებიდანაც გამოცვივდება ხალხი! — უპასუხა არჩილმა.

ტუსა თავისი მანქანით მეგობრებთან ერთად გვიან ღამით ბრუნდებოდა ფასანაურიდან.

— კერეს, ახლა რომ სამი შეიარაღებული ყაჩაღი გადავიდგეს და მანქანის გაჩერება გიბრძანოს, რას იზამ? — ჰკითხა ერთმა.

— რატომ სამი? ერთიც მეყოფა! — უპასუხა ტუსამ მეგობარს.

ართი საიუბილეო საღამოს დამთავრების შემდეგ ტუსამ შენიშნა, რომ სცე-

ნაზე მისასაღებლად გამოვიდნენ რევისორი, კომპოზიტორი და მხატვარი. სამეგობრო კოჭლობდნენ. ტუსამ გადმოიღია პარაკა:

— აი, თურმე რატომ მოიკოჭლებს ჩვენთან ხელოვნება!

ტუსას პოეტებიდან განსაკუთრებით გალაკტიონ ტაბიძე უყვარდა. გალაკტიონის ლექსი ჩემი მელოდიააო, — ბევრჯერ უთქვამს.

ერთ დროს ორივეს კრილოვის ქუჩის №10 სახლში ჰქონდა ბინა. ერთხელ ტუსამ მეუღლე წარუდგინა:

— გაიცანით ჩემი მეუღლე „Леди Макбет из Кутаисского уезда“! ჩამიგდეს ხელში იმერლებმა მომავალი „გენიოსი“, საწყალი, პატიოსანი რაჭველი და შემადგინეს! — ჩვეული იუმორით წარმოთქვა ტუსამ. გალაკტიონი სიცილს ვერ იკავებდა:

— ნეტა ასეთი შეცდენილი მეც ვყოფილიყავი, ყმაწვილო! ქუთაისში კარგი გოგონები იზრდებიან... მეც მომწონდა ერთი, მაგრამ არ გამოიყვია! — მერე ღიმილით დასძინა: — კიდევ კარგი, თორემ ქუთაისი ორ „გენიოსს“ ვერ გაუძლებდა!

ართმა მომღერალმა ქალმა ტუსას შესჩვილა:

— წუხელ ქმარი ისევ მგჩხუბა, კისერშიც კი წამიჭირა სელი და მანჩრობდა, მაგრამ არ გამტე, ჩემო ტუსა, თორემ უარესს მიზამს!


ტუსამ საიდუმლოს შენახა ალუთქვა, მაგრამ აინტერესებდა, შერიგდნენ თუ არა მისი მეგობრები და მეორე დღეს მომღერალი ქალის ოჯახში დარეკა. ყურმილი ქმარმა აიღო. გამარჯვების მაგივრად, ტუსამ ჰკითხა:

— ოტელო, როგორ არის დეზდემონა? ამ ხუმრობამ მეგობარი ცოლ-ქმარი შეარიგა.

შეკრიბა კომპოზიტორის მეუღლემ ნაზი ჭავჭავაძე-პარასკევიძისა

ნახ. ბ. გოჩაშვილისა

ვეფხვის წლის ვეფხისტყაოსნები





იუმორესკა

**განა რაც წინადადებაა,
ყველა რაც წინადადებაა?!**

— გაფართოვდეს ალკოჰოლის სუნის გამქარვებელი აბების გამოშვება!

— გაფართოვდეს ძველებური, წელში გამოყვანილი ღვინის ჭიქების წარმოება!

— დამახინჯდეს ღვინის, არაყის, შამპანურის ბოთლების იარღიყები იქამდე, რომ ისინი იწვევდნენ ზიზღს (შეიძლება თავის ქალის დახატვაც წარწერით — „ს ა ს ი კ ვ დ ი ლ ო ა!“).

— აიკრძალოს „განსხვავებული სასმისებით“ სმა!

— ჩატარდეს აღიარებული თამადების ატესტაცია მათი შემართების შეზღუდვის მიზნით, შეიკვეცოს სადღევრძელოები, მაგალითად: ღვინისა, კარგი პურის მჭამელი ბიჭებისა და ა. შ.!

— დაშვებულ იქნეს წყალნარევი ღვინოების გამოშვება, სათანადოდ შეუმსუბუქდეთ სასჯელი იმ პირებს, რომლებიც ადრე ამ საქმით იყვნენ გატაცებული და რომლებმაც იზარალებს იმის გამო, რომ მათი „კეთილი ზრახვები“ თავის დროზე სწორად არ იქნა გაგებული!

— „ჩაის კვირეულები“ ჩატარდეს წელიწადში ერთხელ კი არა, ყოველთვე, ამასთან ბოლოს და ბოლოს ჩაის ჭიქები აღდგნენ თავიანთ უფლებებში!

— შედგეს და გამოიცეს ღვინის, ლოთობისა და მემთვრალეობის განმაქიქებელი გამონათქვამების კრებული და გამოიცეს იგი დიდი ტირაჟით! (თუ არ გასაღდება, ეს ნუ შეგვაშინებს, ანალოგები უამრავი გვაქვს!).

— მეტი უფლებები მიეცეთ დედებს, ცოლებს, საერთოდ ქალებს — უფრო თამამად გამოიყენონ ტრადიციული ხერხები (წყევლა, გინება, ცემა, მილი-

ციაში დასმენა, ფულის გადამაღვა და სხვა) თავიანთი ლოთი შვილების, ქმრების, ძმების მიმართ, ამასთან მიეცეთ სრული გარანტია, რომ კანონი არ დასჯით მათ უზომო ძალმომრეობისა და ავსიტყვაობის გამო!

— აიკრძალოს სიმღერები: „ჩამოასხი, ერთიც უნდა დავლიო!“, „ხელს გავშლი და სუფრაც გადაიშლება“, „დოქის ტუჩი მირჩვენია ქალისას“, „დალიე და ალავერდი გადადი, ვენაცვალე, ვინც ბოლომდე დალია!“ და სხვა, მით უმეტეს, მთელი ხმით, ფართოდ დაინერგოს კრინით სიმღერა!

— ათვისებულ და გამოშვებულ იქნეს სათვალე სპეციალური ლინზებით, რათა ნასვამ მდგომარეობაში მყოფთ ერთი აღარ მოეჩვენოთ ორად, და, საერთოდ, სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ გარე სამყაროზე!

— პურ-მარილებზე აუცილებლად დავიბატიჟოთ მეზობლებიც, გამოუკლებლივ ყველა, თორემ შეიძლება რომელიმე შურიანმა მეზობელმა დარეკოს, სადაც ჯერ არს, და იქ მიგაბრძანონ შენი სტუმრებიანად!

— გავწყვიტოთ ყოველგვარი კავშირი ღვინის, კონიაკის, არაყის, შამპანურის, ლუდის ქარხნებში მომუშავე ძველ მეგობრებთან — ისინი აღარაფერში გამოგვადგებიან! გავუფრთხილდეთ და მეტად დავუახლოვდეთ უალკოჰოლო სასმელების, რძისა და რძის პროდუქტების, საკონდიტრო საწარმოთა წარმომადგენლებს!

— მოვაწყოთ ხშირი ექსკურსიები გამოსაფხიზლებლებში, თვალსაჩინო აგიტაციის გაძლიერების მიზნით!

დონ პედრო

დავებთ რა ვერ!

როგორ

ის იყო, დიპლომი წარუდგინე ჩემს მშობლებს, დასტური ჩემი ინჟინრად ნათლობისა, მაშამ დინჯად მითხრა:

— ეს კარგია, ჩემო ბახუნია, დამოუკიდებელ გზაზე მოღვაწეობის საბუთი რომ გაქვს, მაგრამ ერთი მთავარი საკითხიც გაქვს მოსაგვარებელი.

— კიდევ რა, მამი?

— ცოლი უნდა შეირთო! კი, წყალი არ გაუვა ამ ნათქვამს. მე, ჩემო ბახუნია, ოცდაორისა რომ ვიყავი, შენ სამი წლისა მყავდი.

— შეირთავს ეგვიც, აცაღე, კაცო, ამ სწავლას გადაყოლილმა ბიჭმა მიიხედ-მოიხედოს. ცოლი თხა კი არ არის, თუ არ მოგეწონება, მეორე დღეს აუშვა ბაწარს და წავიდეს! — თქვა დეიდა.

— კი, ბატონო, გაინებე და გამოიხედე. ოღონდაც არ გადაყვე წაწაღს. ეს დედაშენი მე ერთის ნახვით შემეყვარდა და აგერ, საცაა, ვერცხლის ქორწილსაც გადავიხდით. — თავმოქმედ ჩამი-ლაპარაკა მამამ.

— იტყვი შენც რაღაცას ამხელა კაცი!.. ახლა სხვა თვალი აქვთ ამათ.

— ეს მე მგავს და ამაშიც მინდა ჩემსავით წარმართოს თავისი ბედი! — დაიჩემა მამამ და ისე თქვენ ყველაფერი კეთილი აგის-რულდეთ, როგორც გამართლდა მისი ნათქვამი, მაგრამ...

ო, ეს „მაგრამ“!.. თუმცა მიყვებით ფაქტებს:

გავედი იმ კვირას რუსთაველის პროსპექტზე. გავიარე, გამოვიარე, მივიხედე, მოვიხედე, გოგოების ზღვა დაგომანებდა, მაგრამ თვალი არავისზე გამიჩერდა. წაველი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტზე. იქ კიდევ მეტი და კიდევ უკეთესი გოგოები ვნახე, მაგრამ არ იქნა და არ ამიჩქროლა არც ერთმა გული. მაშინ მამიდასთან მივედი, ლოტიკინის გორაზე. დიპლომიც წავიღე, ისე, ნათესავებთან თავმოსაწონად. და იქიდან რომ ვბრუნდებოდი და ხიდზე გადავოვდიოდი, არ შემომეფეთა ერთი თვალებბრდღვიალა, საროს ტანის გოგო, მოშვილდული წარბებით!

თუ არ დავეცემოდი, არ მეგონა, ისე გადამიქანდა გული და და-ვასკვენი ჩემთვის: „აი, ჩემი სახედო და მიდი ახლა, ბახუნია, არ გაუშვა გზიდან!“

— რა გქვია, გოგო? — ვკითხე აღელვებულმა.

— მამის სახელიც მოგახსენო? — მიპასუხა ნიშნის მოგებით.

— იყოს მამის სახელიც...

— ეგერ, ხიდს გაღმა, პოლიკლინიკაა, წადი და ექიმს ეჩვენე! — დამიბრიალა ზღვისფერი თვალები. — გზა!

— თუ მომარჩენ, მხოლოდ შენ! — ვუთხარი აფორიაქებულმა.

— აბა, იდექი აქ და მელოდე, სანამ მეორედ არ შეგვხვდი! — მითხრა სიცილით და გაქრა თვალსა და ხელს შუა.

მე ხან ხიდის თავში ვეძებე, ხან — ბოლოში, მაგრამ ამაოდ, წავი-და და წავიდა... მერე სოფელში ჩავედი ბებიის და ბაბუას სანახავად, ცოტა ზღვისპირეთსაც შევუარე, ვინ არ ვნახე, ვინ არ დამანახვეს და არა, გულს ველარაგინ გაეკარა. სულ ის გოგო მეღანდებოდა, ზღვის-ფერთვალემა, მოშვილდული წარბებით, საროს ტანისა...

ჩამოვედი თბილისში ისევ და მუშაობა რომ დავიწყე, რაღაც საქ-მის გამო რომ ხიდით უნდა გადავსულიყავი და აგერ მოულოდნელად არ შემომეფეთა ის ჩემი სასატე გოგო?!

— გამარჯობათ!.. ვერ მიცანიტ? — ვეკითხები აღელვებული.

— როგორ არა! პოლიკლინიკაში ექიმთან რომ გგზავნიდით, ისა ხართ! აღარ ჩანდით და ვიფიქრე, წახვედით სადმე...

— ესე იგი ფიქრობდით ჩემზე? — გამეხადრა სახე.

— იმდენად, რამდენადც... — თავი ჩალუნა გოგომ და ვთამამე-ბულმა სათქმელი ვეღარ დავიოკე, სოშაკალასავით დაეყარე:

— მეც ვფიქრობდი თქვენზე, სულ ვფიქრობდი, სოფელშიც, ზღვა-ზეც!.. იქნებ შეგვხვდეთ ამ საღამოს, ბევრი რაღაც მაქვს სათქმელი, თუ შეიძლება?

— ქმარი მე არ მყავს და უფროსი ძმა, ვინ დამიშლის?!

— აბა, გესტუმრებით შინ, მშობლებს გავიცნობ...

— შობრანდით, სახლს თუ მოაგნებთ, — გაეცინა მოულოდნელად. მითხრა — კვარტალი „ა“-ო, კორპუსი „გ“-ეო, სახლი №67 — „ე“-ო, სადარბაზო მეშვიდეო და ბინა 349 „ბ“-ეო. მერე უნებურად წაღწა მის გელითო და ისევ გაქრა.

მივედი ტაქსით, თაიგულითა და ნამცხვრით ხელდამშვენებული და რომ მოვიკითხე უბის წიგნაკში ჩაწერილი მისამართი, ეზოში, მერსზე ჩამოსხდარმა მობინადრეებმა სიცილი დამაყარეს.

— მაგ მისამართით, ყმაწვილო, მერმის ამ დრომდე რომ იარო ამ ახალ დასახლებაში, სახელი და გვარი თუ არ იცი, ვერ იბოვი, ვისაც ეძებ, დაგვიფერე!

— დამავიწყდა სახელისა და გვარის კითხვა, მაგრამ ნამდვილად ნაცნობია, — ლამის ცრემლი წამსკდა. — საროს ტანი აქვს, ბრდღვი-ალა თვალები...

— თქვენს ასაკში ყველას ბრდღვიალა თვალები აქვს. — ისევ გაე-ცინათ.

— ორჯერ შევხვდი ნაძალადევის ხიდთან, დამიბარა, რატომ არ გვერათ?!

— გვეჯერა, ბატონო, გვეჯერა, მაგრამ მაგნაირი მისამართის აქ სამი თუ ხუთი ვარიანტი არსებობს, რანაირად გიშველოთ?!

— მე ქუჩა ვიცი, ყმაწვილო, აქეთ-იქით სახლებია წამოჭიმული და მეზობელი ქუჩის ნომრებით არიან გაფორმებული. ასეა და რა ვქნათ?!

— ამიტომაც ერთმანეთს უფრო სახელითა და გვარით ვიცნობთ, ან რაღაც ნიშნით, გეჟურება? მაგრამ შენ თუ არ გეზარება, იარე კარ-დაკარ, იარე!..

— მერე, ვისაც ჯერ არს, ვერ მოაწესრიგებენ ამ საკითხს? აღარ მოვა ის ხიდთან და, აბა, კარზე მომდგარი ბედი სხვას დაუთმო?! რა წესია ეს?! — გაბრაზებულმა, ლამის შევეკურთხე, ვინც მე ამ გასაჭირში ჩამაგდო.

— რა ქენი, ყმაწვილო, თუ იცი, — თანაგრძნობით მითხრა სანდა-ზმულმა კაცმა, — წაუმღერე პატარა, კაი სიმღერა რომ არის: დაგეძებ და ვერ გპოულობ, მითხარ სადა ხარ? გულში ციციანათვლების შემო-ფრენა ხარ! — თქო. არ შეიძლება, ამ სიმღერაზე არ გამოიხედონ გასა-თხოვარმა გოგოებმა და გიტარასაც თუ აახმიანებ, ალბათ, ისიც გად-მოვიკიდება ფანჯარაზე, ან აივანზე. უყვართ ახალგაზრდებს სიმღერა, შენც რომ იცი? არადა, ჩათვალე, რომ პაუმიანი ჩაგეშალა, კი!


— თუ არ მთხერხება ეს სიმღერა და გიტარაზე დაკვრა, რა ვქნა მაშინ?

— მაშინ, ყმაწვილო, წადი აღმასკომში და უთხარი, ვისაც ჯერ არს, მიხედოს ქალაქში მისამართების მოწესრიგებას! გამიგე?

— ეჰ, მე კი წავალ, მაგრამ ჩემი თქმით ეშველება ვითომ ამ ამბავს?

— რა მოგახსენოთ! ეს კი არის, რომ ჩვენი თხოვნა ჯერ არავინ შეისმინა, ყმაწვილო, მაგრამ შენ ისეთი არგუმენტი გაქვს... წადი, მაინც წადი!

ნანა კანდელაკი



— რაღაც ჭანდამწვარი ვიდეო მაყიდვინა და ახლა ეგ ცოლის შემართველია?!

გაკათები წიანბს

მოგვძახიან სვირის გზები!...

რადღა იგი სინათლე?

მიბრეცილი, მობრეცილი,
 ტალახსა და ლაფში მხვნიში,
 მოგვძახიან სვირის გზები:
 „მოგვაყარეთ ცოტა ხრეში!

ჯაშვის ძალის ამბავი
 იქცა ზღაპრებად, მითებად!
 როცა მის დასახლებაში
 სინათლე გამოირთვება, —

ჭაობებად რომ გვაქციეს,
 ზოგმა ბატიც მოაშენა
 და გაისმის ორმოებში
 მანქანების კენესა-ქშენაც.

ლამის კისერსაც მოიტეს,
 ისეთი ბნელი გზებია!
 (ზოგ ქუჩას დღემდე სინათლე
 საერთოდ არ ღირსებია).

რემონტი არ გვღირსებია,
 გაღის წელი, შვიდი თუ რვა!..
 გწადდეთ, მაინც ვერ შეიძლოთ
 ნავით ტბების გადმოცურვა!“

უბანში გავლა საღამოს
 სახიფათო და ძნელია!
 „რადღა იგი სინათლე,
 რასაცა ახლავს ბნელია?“

ბიორგი კაპანაძე

ვანო ჯაშისელი

სოფელ შუკრუთის ჩრდილ-ნათელი

ჭიათურასთან სოფელი
 შუკრუთი გაგეგონება,
 გზები გვაქვს ავარიული —
 გვეცლება ჭკუა-გონება!..

წერე, რამდენიც გენებოს! —
 უურს არვინ უგდებს საჩივარს!..
 გულს ვინ გაუღებს, ნეტავი,
 ამ ჩვენი სოფლის სატივარს?!

მურმან ათაბაგი

ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს

ზუგდიდელი მოქალაქე ი. ს. ღურ-
 წაია „ნიანგის“ რედაქციას სწერდა, რომ
 ქალაქში წყლის ნაკლებობაა, არა აქვთ პირ-
 უტყვის გასაყიდი სპეციალური ადგილი,
 ფრინველთა და წერილფხვა საქონლით
 ვაჭრობენ საკოლმეურნეო ბაზართან ახლო-
 მდებარე ქუჩებში, რომლებიც ტრანსპორტი-
 თა და ხალხით ისედაც გადატვირთულია.
 მდინარე ჩხოლუხის ნაპირსამაგრი სამუშაო-
 ები შეწყვეტილია, მდინარეზე ერთადერთი
 ხილია, არსად არაა შადრევანი, საცურაო
 აუზი. ამ საკითხების მოგვარებისათვის, —
 ასკენის ბოლოს ავტორი, — ქალაქის ხელ-
 მძღვანელები არ ზრუნავენ!..

რედაქციაში შემოსული საჩივარი შესამოწ-
 მებლად გადაეგზავნა ზუგდიდის ზონაში
 ჩვენს შტატგარეშე კორესპონდენტს ანზორ
 პარამიას, რომელმაც გვაცნობა: „წერილში
 აღნიშნული ფაქტები ძირითადად სინამდვი-
 ლეს არ შეეფერება. სასმელი წყლით ქალა-
 ქის მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხს

პარტიის საქალაქო კომიტეტი და საქალაქო
 საბჭოს აღმასკომი განსაკუთრებულ ყურად-
 ლებას უთმობენ. გასულ წლებში განხორცი-
 ელდა პრაქტიკული ღონისძიებები, რის შე-
 დეგად უწინდელთან შედარებით მკვეთრად
 გაუმჯობესდა წყალმომარაგება. მალე დამ-
 თავრდება ბუნებრივი წყაროებიდან ახალი,
 დიდი დიამეტრის წყალსადენის გაყვანა, რაც
 გააღვივებს დებეტს და დააკმაყოფილებს
 მშრომელთა მოთხოვნილებებს.

მდინარე ჩხოლუხაზე ერთი კი არა, სამი
 კაპიტალური ხილია. სულ მალე მწვობრში
 ჩადგება რკინაბეტონის მეოთხე ხი-
 ლი, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს
 ხელს ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეგუ-
 ლირებას, ტვირთბრუნვის დაჩქარებას. გარ-
 და ამისა, მდინარეზე მარტივი ტიპის გა-
 დასასვლელი ხილებიცაა.



საკოლმეურნეო ბაზართან ახლოსაა სპეცია-
 ლური მოედანი მსხვილფხვა საქონლით ვაჭ-
 რობისათვის, ხოლო ფრინველისა და პირ-
 უტყვის სარეალიზაციოდ საქალაქო საბჭოს
 აღმასკომის გადაწყვეტილებით გამოყოფილია
 მიწის ნაკვეთი ქალაქგარეთ. ამით საგრძნო-
 ბლად განიტვირთება მოძრაობა საკოლმეურ-
 ნეო ბაზრის მიმდებარე ქუჩებში.

მართალია, ქალაქში მწვავე პრობლემად
 დგას საცურაო სპორტული ბაზის საკითხი,
 მაგრამ ამ სარეზს რამდენადმე შეავსებს
 პროფტექნიკური სასწავლებლის ბაზა, რო-
 მელსაც რეკონსტრუქცია სჭირდება. შესა-
 ნიშნავი საცურაო აუზი ექნება ქალაქდკომ-
 ბინატის მშენებარე სპორტულ კომპლექსს,
 რომელიც მალე გადაეცემა საექსპლუატა-
 ციოდ. საცურაო აუზის მშენებლობა გათვა-
 ლისწინებულია ქალაქის ცენტრთან ახლოს.

რაც შეეხება მდინარის ნაპირსამაგრი სა-
 მუშაოებს, იგი კი არ შეუწყვეტიათ, არამედ
 გრძელდება ორგანიზაციების წილობრივი
 მონაწილეობით, შარშან შესრულდა 256
 ათასი მანეთის სამუშაოები“.

„URZICA“

რუმინეთი



ნახატები მ. ნახტასისი

და ნ. ნიკოლაესკისი

ვაშინებონი ხალხთა ნების საწინააღმდეგოდ კვლავ ზრდის ბირთვულ არსენალებს, ცდილობს დაარღვიოს მსოფლიოში შექმნილი სტრატეგიული პარიტეტი, მიაღწიოს ცალმხრივ სამხედრო უპირატესობებს. შეიარაღების ძვირადღირებული სისტემების წარმოების კონტრაქტები, რომლებიც პენტაგონმა დადო მონოპოლიებთან — აი, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ თეთრმა სახლმა უარი თქვა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაღვას განიარაღების გზაზე.

ნახ. ბ. შორჩაძისა



არამგლეჯიერებს ფულის ბოხარა



საბირისა და იუმორის
ჟურნალი „სატირიკო“ №14
(1720). ივლისი. გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გომეზაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ვახუშა ამირეჯიბი, ნოზალი
ბარათია, ზორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
მალ ლოლაუა, ნოდარ მალი-
აშვილი (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე სამხონია,
ბეჟან სიხარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიფიფაძე, ნაზი ჯუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი ღუნღუა

გადიცვა ასაწყობად
23.06. 86 წ. ხელმოწერილია
დასაბუქლად 27.07. 86 წ.
ქალაქის ზომა 60X90/4
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,5, სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბანი 1,9, სა-
ქართველოს კბ ცკ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14.
შეკვ. 1536 ში 05101
ტირაჟი 143.000. ჟურნალი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაების — 99-02-38,
მდივან — შემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.


ფასი 20 კპ.
ინდექსი 76137



სატირიკო



საყუდსკო-ზე ჰაბანი
საყუდსკო-ზე ჰაბანი



ჯოხით ხელში ვაჭარებს
მთელ დღას
მანქანების ფარას,
მოძარობას ვაჭარობა,
ეს კარგია, მარა
მეც კაცი ვარ, მუხს სიღებრი,
დოდა, ცოლი, ბავშვი,
მარტო ჯოხით, მარტო ფორმით
სომ არ შევალ სახლში?
წუხელ გასკდა ოქანნი და
წაღი წვეთავს ორგან,
მე თვითონ თუ არ ვეჭვებ,
ვინ მომიტანს ოქანს?
სახლში უნდა მივიტანო
საოთხი და ზეთი,
სარეცხ ფხვნილს სომ ვარ ვიოვო,
თუნდაც ვიყო ღმერთი!
ხორცი, ქახვი, კარტოფილი,
ბალები და ყველი

ჯერაც რომ ვარ მივუტანე,
ცოლი ალბათ მწყავლის,
სად ვიოვო ბავშვის „კურტკა“,
შესსაცემელი თბილი?
შინ რომ მივალ ცარიელი,
აბირდება შვილი.
ღარღისაგან უკვე ლამის
გამისივდეს გული,
რომც ვიოვო ყველაფერი,
მას სომ უნდა ფული?
წოგი ფიქრობს: შენ რა გიჭირს,
ინსპექტორი ხარო!
მე კი ვღაპარ ტრასაზე და
ლამის ცრემლი ვღვარო.
თუ ვირბინე და გივიღე
მე ინფარქტი მიკრო,
მაშ, ამ გზაზე მოძარობა
როგორ ვაჭარობო?



— უფროსო, რას ხედავთ ცუდს იმაში მანქანა რომ ბოლავს?!
 — შე, საერთოდ ვერაფერს ვხედავ!

მოავარი რედაქტორი ზურა მონღაშვილი

რედაქტორი ბებია სიხარულიძე

სარედაქციო კოლეჯია: ჯ. ლოლუა (შატერული რედაქტორი), ვ. შადური (ხა. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე), ვ. ცინცაძე (ჩეხოსლოვაკის სახელმწიფო ავტონსპექციის სამმართველოს უფროსი), რ. იანტაშვილი (ჩეხოსლოვაკის სახელმწიფო ავტონსპექციის სამმართველოს პროპაგანდისა და აგიტაციის ქვედანაყოფის უფროსი), ვ. რუმბაძე (თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტონსპექციის დანაყოფის უფროსი).


ტექნიკური რედაქტორი ი. დუნდუა

მისამართი: 380008, თბილისი — 8, რუსთაველის პროსპექტი 42. ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია. (ტელ: 99-55-54; 93-19-42); თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11კმ. საქართველოს სსრ შსს სახელმწიფო ავტონსპექციის სამმართველო (ტელ: 51-90-38). საქართველოს კ ც-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის 14. 1989 წელი.

შეკვეთა № 1. ტირ. 10 000. უც 00003. უფასო.

Сатирико-юмористический бюллетень журнала «Ниянги» и Госавтоинспекции МВД СССР «Ниянги» гваджვარედინებაე (на грузинском языке), Тбилиси, пр. Руставели, 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ჟურნალ „ნიანგისა“ და საქართველოს სსრ შსს სახელმწიფო ავტონსპექციის სატირულ-იუმორისტული ბუკლეტი რუსულ-საქართველოურ ენებზე



ნიანგი

ბუკლეტი

მეგობრობა საკანცერო



რას უპასუხებთ? ისევე როგორც საკანცერო მას-შტაბით, შარშან მეტისმეტად დიდადა ოპერატიული ვითარება: საავტომობილო გზებსა და ქუჩებში 2527 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, რასაც 787 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 2991 კი მძიმედ დაშავდა..

1988 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 180 ერთეულით იმატა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვმა, გარდაიცვალა 79 ადამიანი მეთი, ხოლო დაშავებულთა რაოდენობა 251 ერთეულით გაიზარდა..

შემთხვევათა ყველა ძირითადი მიზეზები გაიზარდა თბილისში, სამხრეთ ოსეთში, ამბროლაურის, ასპინძის, ზუგდიდის, კასპის, თელავის, წყალტუბოს რაიონებში, გორის, გურჯაანისა და ბოლნისის მოტომექანიკური ოცუელების სამოქმედო ტერიტორიებზე.

ავარიულობის ცალკეულმა მიზეზებმა იმატა აფხაზეთში, აჭარაში, აბაშის, ბოლნისის, დამიანის, ოშურგეთის, ხიდნაღისა და სხვა რაიონებში.

ყველაფერი ეს ძირითადად იმის პირდაპირი შედეგია, რომ სახელმწიფო ავტონისპექციის ზოგიერთ დანაყოფებში ჯერ კიდევ ვერ შეუძლიან სადღესღობო მოთხოვნების დონეზე, ბევრგან არ იგრძნობა, რომ სათანადო დასკვნები გააკეთეს განვლილი პერიოდის გამოცდილებიდან. ცხადია, რომ ყოველმხრივ შესწავლილ უნდა იქნეს ავარიის გამომწვევი მიზეზები, ფართოდ და საჭაროდ მოხდეს მათი ვანალოგია, რადგან საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი დანებრუნების გარეშე ძალზე გაძნელებდა ამ საქმეში არსებითი გარდატეხის შეტანა. მეტად საგულანძობა ის გარემოებაა, რომ შარშან, ტრადიციისამებრ, რესპუბლიკის ქუჩებსა და საავტომობილო გზებზე მოძრაობის წესების მილიონზე მეტი დარღვევა აღირიცხა.. შემამართებელია ეს სტატისტიკა: მაგრამ აღნუსხული დარღვევა, როგორც იტყვიან, ნახევარი უბედურებაა, მთავარი და ყველაზე საშიშო სწორედ ის დარღვევები გახლავთ, რომელთა აღკვეთას ვერ ახერხებს და ვერ ასწრებს ავტონისპექციის მუშაყი.

დამრღვევთა ყველაზე დიდ რაოდენობას ქვეითები წარმოადგენენ. ვისაც სად უნდა, იქ არღვევს წესრიგს. რაც მათს უწყობს ქვეყნზე მეტყველებს, ზოგიერთებს არ გააჩნიათ საგზაო მოძრაობის წესების ელემენტარული კულტურა, არადა, ამ დაუღვევობით შარშან მოხდა 800-მდე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლის დროსაც დაიღუპა 100-მდე, სხეულის დაზიანება მიიღო 400-მდე ადამიანმა. ესე იგი, ქვეითი თავის სურვილით თუ დაუღვევობით თვითონვე იღებებს თავს საფრთხეში!

კვლავ დიდ სირთულეებს ქმნის სახელმწიფო ტრანსპორტის არაერთმული მოძრაობაც. აქ იგულისხმება ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებში არსებული დისციპლინა, პროფესიონალი მძღოლთა პასუხისმგებლობა, მოძრაობა შემადგენლობის ტექნიკური მდგომარეობა და ის სხვა ასპექტები, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენენ გზებზე შექმნილ ოპერატიულ ვითარებაზე. შარშან სახელმწიფო უწყებათა მძღოლების მიზეზით რესპუბლიკაში 547 ავტოავარია მოხდა, რის შედეგადაც გარდაიცვალა 189 და მძიმედ დაშავდა 600 ადამიანი!

როგორც აღინიშნა, უმეტესწილად ამ ვითარებას ის განაპირობებს, რომ ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საწარმოებში სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომის დისციპლინას, სატრანსპორტო საშუალებათა შენახვისა და ექსპლუატაციის წესების განხორციელებას და ცეცის საკითხებს, მძღოლთა შორის აღმზრდელით საქმიანობას, ფაქტობრივად უმოქმედოდ არის მოძრაობის უსაფრთხოების საშუალებები. ამგვარი დამოკიდებულება კი ნამდვილად მიუტყვევებელია, რადგან ავტოსაგზაო შემთხვევებს სახელმწიფო ტრანსპორტის მიზეზით სწორედ უდიდესი სტრანსპორტო ორგანიზაციებში ეყრება საფუძველი.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ავტოსატრანსპორტის ინდივიდუალურ მფლობელთა დიდი უმრავლესობის საგზაო დისციპლინაც. სწორედ ამ კატეგორიი: მძღოლთა მიერ წესების დანაშაულებრივმა უფულებედლოვამ

განვლილ პერიოდში 1456 ავტოავარია გამოიწვია. აღნიშნულმა შემთხვევებმა 499 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 1941 კი მძიმედ დაშავდა აქვე უნდა აღინიშნოს ის მეტად სავალალო და საპარტახინო გარემოებაც, რომ ბევრი მძღოლი ჯერ კიდევ ვერ შეეცადა უსარგისოდ მანქანა და საშიშ რეველებას—ავტოსატრანსპორტის არაფიზიკურ მდგომარეობაში მართვის! მთარაღმა მძღოლებმა 98 ავტოავარია მოახდინეს, გარდაიცვალა 80 და მძიმედ დაშავდა 126 ადამიანი.

სამწუხაროა, რომ კიდევ ერთხელ გვიხდება ელემენტარულ შემთხვევებზე საუბარი — საბედისწერო ავარიებში მონაწილე მძღოლებს რაღაც განსაკუთრებულ დარღვევა. როდი ჩაუღვინიათ; ეს სწორედ ის დარღვევებია, რომლებსაც ხშირად „უშინშენილოს“ და „წერილმანს“ უწოდებს ბევრი ჩვენთაგანი. ასეთი ჭარაფუშტობის შედეგი კი მეტად მძიმე და თვალსაჩინოა, მაგრამ საბოლოო სასიკეთო დასკვნების გამოტანისათვის ბევრი მაინც არ იწუხებს თავს.

შექმნილ ვითარებას ისიც უქმნის დამატებით სიმწელებებს, რომ გზების მდგომარეობით კვლავაც ერთ-ერთ უქანასკნელ ადგილზე ვართ მოძმე რესპუბლიკებს შორის, არ გავგანჩნია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, საბავშვო ავტომობილები, ავტორეომები, თავად სახელმწიფო ავტონისპექციის აღჭურვილობაც მეტად ღირბია!

მიუხედავად ამ შემამართებელი ვითარებისა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემა ჯერ კიდევ ვერ მიიქცია საზოგადოების სათანადო ყურადღება. ეს კი უქვეყნად უნდა მოხდეს, რადგან უამისოდ ვერ გადავჭრით მეტად რთულ და მძაფრ პრობლემებს, არადა, ავტომობილი თანდათან უფრო დაემუქმება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას!

როგორც იანტაბლიკა,
საქ. სსრ შს სახავტონისპექციის სამმართველოს პრაზაგანდისა და ავტაციის ქვეგანყოფილების უფროსი, მელიციის მაიორი.